ტურისტების ყვლევა აჭარაში

2013 წელი

დასკვნები და ანალიზი

აჭარის ა. რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

ბათუმი 6010, ფარნავაზ მეფის ქ. 84/86

ელ-ფოსტა: info@gobatumi.com

http://goBatumi.com

ანოტაცია

“ტურისტების კვლევა აჭარაში” ჩატარდა 2013 წლის აგვისტოს თვეში. კვლევა განხორციელდა აჭარის ა. რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ, სადაც ინტერვიუერებად წარმოდგენილები იყვნენ სტუდენტთა მოხალისე ჯგუფი, კვლევის ობიექტებად კი აჭარაში დამსვენებელი უცხოელი და შიდა ტურისტი შეირჩა.

აღნიშნული კვლევა ხელმისაწვდომია ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: http://dtra.gov.ge

რესპოდენტთან პირიპირ ინტერვიუ ხორციელდებოდა რაოდენობრივი მეთოდოლოგიის მიხედვით. ვლევის ჩატარების არეალს წარმოადგენდა ქალაქი ბათუმის ზღვისპირა ბულვარის ტერიტორია.

კითხვარის ფორმა მოიცავდა შემდეგ კითხვებს:

1. ვიზიტის მიზანი აჭარაში
2. ტრანსპორტირების საშუალება აჭარამდე
3. განთავსების საშუალება აჭარაში
4. საშუალო დღიური ხარჯი აჭარაში
5. ინტერესი ტურიზმის სახეობების მიმართ აჭარაში
6. კმაყოფილების დონის შეფასება
7. ვიზიტის ხანგრძლივობა აჭარაში
8. მოგზაურობის ორგანიზება
9. ინფორმაციის წყარო აჭარის შესახებ
10. ვიზიტის გამეორება და რეკომენდაციები

კვლევის პროცესში სულ გამოიკითხვა 533 რესპოდენტი, მათგან 177 შიდა და 356 უცხოელი ტურისტი იყო.აღნიშნული კვლევის ანალიზი ეყრდნობა რესპოდენტა პასუხებს ასაკობრივი ჯგუფისა და ეროვნების სეგმენტაციის მიხედვით. უცხოელ რესპოდენტთა უმეტესობა თურქეთის, რუსეთის, უკრაინის, სომხეთისა,ერაყის და პოლონეთის მოქალაქეები იყვნენ.

ქვემოალნიშნული ანალიზი წარმოდგენილია აჭარაში ტურისტების კმაყოფილების დონისა და მოგზაურობის ორგანიზების შესახებ.

სარჩევი

შემაჯამებელი დასკვნები რესპოდენტთა შესახებ და კვლევის საშუალო შედეგები 4
კვლევის ანალიზის მიმდინარეობა და ტექნიკები 6
კვლევის ანალიზი მოქალაქეობის მიხედვით 8
საქართველოს მოქალაქეები - შიდა ტურისტები 8
თურქეთის მოქალაქეები - უცხოელი ტურისტები 14
პოსტ-საბჭოთა ქვეყნები - უცხოელი ტურისტები 20
განვითარებული ქვეყნები - უცხოელი ტურისტები 26
ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები - უცხოელი ტურისტები 32

შემაჯამებელი დასკვნები რესპოდენტთა შესახებ და კვლევის საშუალო შედეგები

სულ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 533 რესპოდენტმა, სადაც 177 შიდა, ხოლო 356 უცხოელი ტურისტი დაფიქსირდა. მათშორის იყვნენ საქართველოს, თურქეთის (33.2%), რუსეთის (14.1%), უკრაინის (9.7%), სომხეთის (7.9%), ერაყის (7.6%), პოლონეთის (5%) და კიდევ რამოდენიმე სხვა ქვეყნის მოქალაქეები.

უცხოელი ტურისტების საშუალო ასაკობრივი ჯგუფი 30-39 წელი იყო. გამოკითხულდა უმეტესობას მამაკაცები (60.2%) წარმოადგენდნენ. ყოველი მესამე მათგანი კი პირველად სტუმრობდა აჭარას. რესპოდენტთა მხოლოდ 21%-მა დაგეგმა მოგზაურობა ტურისტული სააგენტოს დახმარებით. ისინი ძირითადად მეგობრებთან (38.5%) ან ოჯახის წევრებთან (37.1%) ერთად მოგზაურობდნენ. უცხოელ ტურისტთა ვიზიტიაჭარაში საშუალოდ 8 დღე გრძელდებოდა. მათთვის რეგიონში სტუმრობის პირველად მიზნებს წარმოადგენდა ზღვაზე დასვენება (27.5%), გართობა (20%), ბათუმის მონახულება (16%) და ახალი კულტურის გაცნობა (12%). მათი უმრავლესობა საკუთარი ავტომობილით (49%) ჩამოვიდა აჭარაში, ასევე დაფიქსირდა სხვა ტრანსპორტირების საშუალებებიც: თვითმფრინავი (21.6%), ავტობუსი (13.7%), მატარებელი (7.4%) და ა.შ. უცხოელი ტურისტისთვის ინფორმაციის მთავარ წყაროს რეგიონის შესახებ წარმოადგენდა ინტერნეტი (61.1%). მათ შორის აღინიშნა ისეთი საიტები, როგორებიცაა Facebook(16%), Google (0.3%), Tripadvisor (0.3%), lonelyplanet (0.3%). დეპარტამენტის ახალი ოფიციალური ვებ-გვერდის (gobatumi.com) შესახებ რესპოდენტთა მხოლოდ 3.3%-მა იცოდა. გარდა

ინტერნეტისა, ინფორმაციის წყაროს ასევე წარმოადგენდა ტელევიზია (12.5%), ბეჭდვითი მასალები (10.8%) და გარე საბანერო რეკლამები (2.3%). უცხოელი ტურისტების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს სასტუმროში (51.8%), გესთჰაუსში (13%) ან ნაქირავებ აპარტამენტში (13%) განთავსებას. რესპოდენტთა საშუალო დღიური ხარჯი, რომელიც ითვალისწინებდა განთავსებას, კვებას და გართობას, საშუალოდ მოექცა100-200 ეუროს ჯგუფში. მოგზაურთა 30.5%-სთვის აჭარაში მოგზაურობის ინტერესს წარმოადგენდა საზღვაო ტურიზმი, 14.3%-სთვის ეკო ტურიზმი, 9.1% - კულტურული და რელიგიური ტურიზმი, 8.1% - ველური ბუნების ტურიზმი და ა.შ. ტურისტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორების მიმართ ყველაზე დაბალი კმაყოფილების დონით შეფასდა ჯანდაცვის ობიექტების მომსახურება, ფასისა და ხარისხის შესაბამისობა და შიდა მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება. სტუმართა 77.5% პოზიტიურად იყო განწყობილი მომავალ წელს აჭარაში ვიზიტის გამეორებაზე, 92.7% კი მათ მეგობრებსა და ახლობლებს გაუწევდა აჭარის რეგიონზე რეკომენდაციას.

რაც შეეხება შიდა ტურისტებს, მათი საშუალო ასაკობრივი ჯგუფი 20-29 წელი დაფიქსირდა. რესპოდენტთა 71%-ს ქალებატონები წარმოადგენდნენ. მოგზაურთა მხოლოდ 8.5% სტუმრობდა აჭარას პირველად. შიდა ტურისტების მცირე ნაწილმა (10.2%) იმოგზაურა აჭარაში ტურისტული პაკეტით. რეგიონში განხორციელებული ვიზიტები ძირითადად ჯგუფურად ხასიათდებოდა, ოჯახის წევრებთან (48.6%) ან მეგობრებთან (35.5%) ერთად. სტუმრები საშუალოდ 11 დღიან ვიზიტს ახორციელებდნენ აჭარაში. აჭარაში შიდა ტურისტების ძირითად მიზანს საზღვაო ტურიზმი (46.9%), გართობა (18.2%), ბათუმის მონახულება (8.9%)

და მეგობრებთან ვიზიტი წარმოადგენდა (8.2%). რესპოდენტთა უმრავლესობა საკუთარი მანქანით (48.9%) ან მატარებლით (39.7%) ესტუმრა რეგიონს. რესპოდენტთა, მხოლოდ 18.8%-მა იცოდა დეპარტამენტის ახალი ოფიციალური ვებ გვერდის არსებობის შესახებ. მოგზაურების 33.5%-მა განთავსების არჩევანი მეგობრებთან/ნათესავებთან (ხარჯების გარეშე) გააკეთა, 23.9%-მა აპარტამენტზე (ქირით), ხოლო 23.3%-მა სასტუმროზე. სტუმრების საშუალო დღიური ხარჯი (განთავსება, კვება, გართობა) საშუალოდ 50-დან 100 ლარამდე ჯგუფში რანჟირებდა. აჭარაში არსებული ტურიზმის სახეობებიდან მათ ყველაზე მეტად საზღვაო ტურიზმი იზიდავდათ (45.5%), ასევე ინტერესი დაფიქსირდა სათავგადასავლო (8.3%) და ეკო ტურიზმის (7.6%) მიმართ. შიდა მოგზაურებისთვის, ტურისტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორების მიმართ, კმაყოფილების დონის პირამიდაში ყველაზე ნეგატიური შეფასება მიიღო ფასისა და ხარისხის შესაბამისობამ, რეგიონში არსებულმა სანახაობებმა და ჯანდაცვის ობიექტების მომსახურების დონემ. რესპოდენტთა 94.9% კიდევ ესტუმრებოდა აჭარას მომავალ წელს, 96.6% კი გაუწევდა რეკომენდაციას თავიანთ ახლობლებსა და ნათესავებს.

კვლევის ანალიზის მიმდინარეობა და ტექნიკები

რესპოდენთა კვლევის ანალიზი შედგა მოქალაქეობის მიხედვით, რომელიც დაიყო ხუთ ასპექტად: საქართველო, თურქეთი, პოსტ-საბჭოთა ქვეყნები, განვითარებული ქვეყნები და ახლო აღმოსავლეთი. თითოეული კითხვარი მოიცავდა ინფორმაციას რესპოდენტის პროფილის და მისი მოგზაურობის

შესახებ, რომლებიც შემდგომში გათვალისწინებული იქნა ორივე განაწილებაში. კითხვებში, სადაც რამოდენიმე პასუხის დაფიქსირება იყო შესაძლებელი, მოხდა მათი შეკრება თითოეული დასაშვები პასუხის მიხედვით, საბოლოოდ კი შედეგის ანალიზი გაკეთდა მთლიანი ერთეულის პროპორციულობასთან მიმართებაში. იმ კითხვებში, სადაც რესპოდენტს მოუწია შეფასების განაწილება 1-დან 3-მდე შკალაზე, მოხდა მათი პასუხების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა.

ანალიზის პროცესში რიცხვების დამრგვალება მოხდა ათწილადამდე, როგორც მიღებულია ართითმეტიკული კალკულაციის წესებში (მაგ.: 8,732-ის ჩაწერა ხდებოდა ასე - 8,7).

კვლევის ანალიზი მოქალაქეობის მიხედვით

საქართველოს მოქალაქეები - შიდა ტურისტები

კვლევის მონაცემთა ბაზაში შეგროვებული პასუხების მიხედვით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა იყო 177. მათგან, უმეტესობა მიეკუთვნებოდა ახალგაზრდა თაობას, 20-29 წლამდე (41.5%) და საშუალო ასაკის 30-39 წლამდე (25%) ჯგუფებს. გამოკითხულთა 71% ქალი იყო. ისინი საშუალოდ 10 დღიან ვიზიტს ახორციელებდნენ აჭარაში, რომელთა უმრავლესობაც მოგზაურობდა ოჯახთან (48.6%) ან მეგობრებთანერთად (35.5%). რესპოდენტთა მხოლოდ 10%-მა ისარგებლა ტურისტული სააგენტოს მომსახურებით და სულ 8.5%-მა პირველად განახორციელა მოგზაურობა აჭარაში. მათი უმეტესობა პოზიტიურად იყო განწყობილი (96.6%) რეგიონის მიმართ, რაც გულისხმობს აჭარისთვის რეკომენდაციის გაწევას. 94.9% კი კვლავ გეგმავს ვიზიტის განხორციელებას რეგიონში მომავლ წელს.

დიაგრამა 1.

განაწილება მოგზაურობის მიზნის მიხედვით

საქართველო (რაოდენობა რიცხვებში)



1 კითხვაზე რესპოდენთა ყველაზე მეტი პასუხი (137 პასუხი) დაფიქსირდა ზღვაზე დასვენებაზე, რაც მთლიანი განაწილების 46.9%-ს შეადგენს. შიდა ტურისტების 18.2%-ის მოგზაურობის მიზანი იყო გართობა. ასევე, ვიზიტის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა ბათუმის (8.9%) და მეგობრების /ნათესავების (8.2%) მონახულება.

დიაგრამა 2.

განაწილება მოგზაურობის მიზნის მიხედვით

საქართველო



მეორე კითხვა მოიცავდა ინფორმაციას აჭარამდე ტრანსპორტირების შესახებ. 2013 წელს, ვიზიტორთა უმეტესობა საკუთარი მანქანით (48.9%) ან მატარებლით (39.7%) სტუმრობდა აჭარას.

 დიაგრამა 3.

განაწილება აჭარამდე ტრანსპორტირების საშუალების მიხედვით

საქართველო



მესამე კითხვაში რესპოდენტს უნდა მოენიშნა განთავსების საშუალება, რომელიც მან აირჩია აჭარაში მოგზაურობისას. შედეგად, შიდა ტურისტების 33.5% მეგობართან ან ნათესავთან რჩებოდა, 23.9% - აპარტამენტში ქირით, 23.3% კი სასტუმროში.

დიაგრამა 4.

განაწილება აჭარაში განთავსების საშუალების მიხედვით

საქართველო



მეოთხე კითხვა ეხებოდა რესპოდენტების საშუალო დღიურ ხარჯებს აჭარაში, რომელიც ითვალისწინებდა, როგორც განთავსების, ასევე კვებისა და გართობის ხარჯებსაც. კვლევის ანალიზის მიხედვით რესპოდენტთა 44.7% საშუალოდ ხარჯავს 50-100 ლარს ყოველდღიურად, 34.7% კი 50 ლარზე ნაკლებს. მოგზაურთა მხოლოდ 18.8%-ის საშუალო დღიური ხარჯები აჭარბებს 100 ლარს.

დიაგრამა 5.

განაწილება აჭარაში საშუალო დღიური ხარჯების მიხედვით

საქართველო



მეხუთე კითხვაში რესპოდენტს უნდა მოენიშნა ის ტურიზმის სახეობები, რომლებიც იზიდავთ მათ აჭარაში სამოგზაუროდ. ყველაზე მეტი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა საზღვაო ტურიზმზე (45.5%), ასევე დაინტერესება იყო სათავგადასავლო (8.3%) და ეკო ტურიზმის (7.6%) მიმართაც. ყველაზე დაბალი ინტერესი კი დაფიქსირდა გასტრონომიულ (1%) და მაის (MICE) ტურიზმზე (0.3%).

 დიაგრამა 6.

განაწილება აჭარაში ტურიზმის სახეობების მიმართ ინტერესის მიხედვით

საქართველო



მეექვსე კითხვაში რესპოდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ მოგზაურობისას მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორი მათი კმაყოფილების დონის მიხედვით, სადაც 1 იყო დაბალი, 2 - საშუალო, ხოლო 3 - მაღალი კმაყოფილების დონით შეფასება. ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ შიდა ტურისტები ყველაზე მეტად უკმაყოფილო არიან ფასისა და ხარისხის შესაბამისობის ფაქტორის მიმართ (1.94), შემდეგ თანმიმდევრობაში კი დაფიქსირდა სანახაობები (2.08) და χანდაცვის ობიექტების მომსახურება (2.27) .

დიაგრამა 6.

განაწილება ტურისტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორების მიმართ კმაყოფილების დონის მიხედვით

საქართველო



თურქეთის მოქალაქეები - უცხოელი ტურისტები

კვლევაში სულ 113 თურქეთის მოქალაქე ღებულობდა მონაწილეობას. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 36.4%-ს 30-39 წლამდე და 31%-ს 20-29 წლამდე ჯგუფები ინაწილებდნენ. გამოკითხულთა 71.4% მამაკაცი იყო. ისინი საშუალოდ 5 დღიან ვიზიტს ახორციელებდნენ აჭარაში, რომელთა უმრავლესობაც მოგზაურობდა მეგობრებთან (45.8%) ან ოჯახთან ერთად (39.3%). რესპოდენტთა 31.7% სტუმრობდა აჭარას ტურისტული სააგენტოს დახმარებით. გამოკითხულთა 57.7% პირველად მოგზაურობდა აჭარაში, 92.2% გაუწევს აჭარას რეკომენდაციას, ხოლო86%-მა აღნიშნა, რომკვლავ ესტუმრებოდა რეგიონს მომავლ წელს.

თურქ მოგზაურთა 33.3%-ისთვის ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა გართობა, შემდეგ ბათუმის მონახულება (247%) და კულტურის გაცნობა (11.5%).

დიაგრამა 7.

განაწილება მოგზაურობის მიზნის მიხედვით

თურქეთი



თურქ ვიზიტორთა უმრავლესობა აჭარაში საკუთარი მანქანით (63.3%) ჩამოვიდა, 24.2% ავტობუსით და8.8% თვითმფრინავით. ტრანსპორტირების სხვა საშუალებები კი წარმოდგენილია შემდეგ დიაგრამაზე.

დიაგრამა 8.

განაწილება აჭარამდე ტრანსპორტირების საშუალების მიხედვით

თურქეთი



გამოკითხულ რესპოდენტთა 37.3%-მა ინფორმაცია აჭარის რეგიონის შესახებ ინტერნეტის მეშვეობით მიიღო, საიდანაც 20.2% Facebook-ზე, 2.6% ტურიზმის დეპარტამენტის ახალი ვებ გვერდზე (www.gobatumi.com), ხოლო დანარჩენი 32.5%ინტერნეტის სხვადასხვა წყაროებზე გადანაწილდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 21.1%-მა რეგიონის შესახებ ტელევიზიით გაიგო, ხოლო 12.2%-მა ბეჭდვითი მასალებისგან.

 დიაგრამა 9.

განაწილება აჭარის შესახებ ინფორმაციის წყაროს მიხედვით

თურქეთი



განთავსების საშუალების მიხედვით თურქ მოქალაქეთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებდა სასტუმროს (62.2%), შემდეგი პრიორიტეტები ჰი ნაწილდებოდა ჰოსტელებზე (10%) და ნაქირავებ აპარტამენტებზე (10%).

დიაგრამა 10.

განაწილება აჭარაში განთავსების საშუალების მიხედვით

თურქეთი



საშუალო დღიური ხარჯების ჭრილში თურქ მოგზაურთა 20% განთავსებაში, კვებაში და გართობაში დღეში საშუალოდ ხარჯავდა 70 ლარზე ნაკლებს ან საერთოდ საერთოდ არ დაუხარჯავთ (0.9%). აღნიშნულ განაწილებაში ყველაზე დიდი ნაწილი მოქცეული იყო 70-200 ლარიან (36.4%) და 200-450 ლარიან (27.3%) ჯგუფებში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომრესპოდენტთა 16.3%-ისთვის დღიური ხარჯი საშუალოდ აღემატებოდა 450 ლარს.

დიაგრამა 11.

განაწილება აჭარაში საშუალო დღიური ხარჯების მიხედვით

თურქეთი



კვლევის შემდეგი საკითხი, რომელიც განსაზღვრავდა აჭარაში არსებული ტურისტული პროდუქტების მიმართ რესპოდენტთა ინტერესების თანმიმდევრობას, მათგან ყველაზე პრიორიტეტულ პროდუქტს წარმოადგენდა ეკო ტურიზმი (32.3%),შემდეგ თანმიმდევრობას კი აგრძელებდა საზღვაო ტურიზმი (24.2%), კულტურულ-რელიგიური ტურიზმი (12.9%), ველური ბუნების ტურიზმი (5.4%), სათავგადასავლო ტურიზმი (4.8%) და ა.შ.

დიაგრამა 12.

განაწილება აჭარაში ტურიზმის სახეობების მიმართ ინტერესის მიხედვით

თურქეთი



თურქი ვიზიტორების შეფასება ტურისტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორების მიმართ კმაყოფიელების დონის მიხედვით, განსხვავდება შიდა ტურისტების შეფასების თანმიმდევრობისგან, თუმცა ამავდროულად ფიქსირდება მსგავსი კორელაციები ამ ორ სეგმენტს შორის. მაგალითად, ჯანდაცვის ობიექტების მომსახურება ორივესთვის პრიორიტეტულ ფაქტორს წარმოადგენდა მათი ვიზიტის კმაყოფილების დონის განსაზღვრისას. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას ხარისხისა და ფასის შესაბამისობის მიმართაც, თუმცა შიდა ტურისტებისთვის ამ ფაქტორს, ამავდროულად ემატება სიძვირის განცდაც.რაც შეეხება, თურქი ტურისტების

შეფასებას მომსახურებისა და სხვადასხვა ფაქტორების მიმართ კმაყოფილების პრიორიტეტულ თანმიმდევრობას, მათთვის შიდა ტრანსპორტირება (2.21) წარმოადგენს უკმაყოფილების პირველად საფეხურს, შემდეგ მოდის ჯანდაცვის ობიეტები (2.24) და შოპინგი (2.25).

დიაგრამა 13.

განაწილება ტურისტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორების მიმართ კმაყოფილების დონის მიხედვით

თურქეთი



პოსტ-საბჭოთა ქვეყნები - უცხოელი ტურისტები

კვლევის მონაცემთა ბაზაში სულ 133 რესპოდენტი დაფიქსირდა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მიხედვით. მათ შორის წარმოდგენილი იყო 10 ქვეყანა, სადაც რუსეთის (48), უკრაინის (33) და სომხეთის (27) რესპოდენთა რაოდენობა ყველაზე მეტად ჭარბობდა. რაოდენობრივი განაწილება რიცხვებში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ დიაგრამაზე.

დიაგრამა 14.

რესპოდენტთა განაწილება პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მიხედვით

პოსტ-საბჭოთა ქვეყნები (რაოდენობა რიცხვებში)



რესპოდენტთა ასაკობრივი განაწილება უმეტესწილად მოდიოდა 20-29 წლამდე (43.8%) და 30-39 წლამდე (38.3%) ასაკის ჯგუფებზე. გამოკითხულთა 56.9%-ს ქალბატონები წარმოადგენდნენ. ისინი საშუალოდ 11 დღიან ვიზიტს ახორციელებდნენ აჭარაში, რომელთა უმეტესობა მოგზაურობდა ჯგუფურად, 49.3% ოჯახის წევრებთან, ხოლო 32.1% მეგობრებთან ერთად.

ვიზიტორთა სულ 10%-მა შეიძინა ტურისტული სააგენტოს მომსახურება. მათი უმეტესობა (58.7%) პირველად სტუმრობდა აჭარას. 95.1%-მა აღნიშნა, რომ გაუწევდა აჭარას რეკომენდაციას, ხოლო 85.5%-ი კვლავ ესტუმრებოდა რეგიონს მომავლ წელს.

მოგზაურთა 41%-ისთვის მოგზაურობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ზღვაზე დასვენება, 16.1% სტუმრობდა აჭარას გართობისთვის, 11.6% ახალი კულტურის გაცნობისთვის, ხოლო 9.6% ბათუმის მოსანახულებად.

დიაგრამა 15.

განაწილება მოგზაურობის მიზნის მიხედვით

პოსტ-საბჭოთა ქვეყნები



აჭარამდე ტრანსპორტირების საშუალების არჩევანის მიხედვით, ყველაზე ხშირად გამოყენებად ტრანპორტს რესპოდენტებისთვის წარმოადგენდა საკუთარი მანქანა (47.8%), თვითმფრინავი (28.3%) ან მატარებელი (9.4%).

ДИАГРАМА 16.

განაწილება აჭარამდე ტრანსპორტირების მიხედვით

ПОСТ-СОВЕТСКИЕ СТРАНЫ



აჭარის შესახებ ინფორმაცია რესპოდენტთა 74.3%-მა ინტერნეტით მიიღო, სადაც დეპარტამენტის ვებ-გვერდი 3%-ს, ფეიბუქი 14.9%-ს და სხვა ინტერნეტ წყაროები 56.4%-ს ინაწილებდნენ. ასევე, დაფიქსირდა ინფორმაციის სხვა წყაროებიც: ტელევიზია (12.9%), გარე საბანარო რეკლამა (6.9%) და ბეჭდვითი მასალა (6%).

ДИАГРАМА 17.

განაწილება აჭარის შესახებ ინფორმაციის წყაროს მიხევით

ПОСТ-СОВЕТСКИЕ СТРАНЫ



აჭარაშიგანთავსების ტიპის არჩევანის მიხედვით მოგზაურთა 43.9%-მა უპირატესობა მიანიჭა სასტუმროში განთავსებას, ასევე თანაბარი 18.5%-იანი განაწილება დაფიქსირდა გესთჰაუსებზე და აპარტამენტებზე (ქირით) ცალ-ცალკე.

დიაგრამა 18.

განაწილება აჭარაში განთავსების საშუალების მიხევით

პოსტ-საბჭოთა ქვეყნები



საშუალოდღიური ხარჯების მიხედვით პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოსული ვიზიტორების 44.2%-ის საშუალო დღიური ხარჯები მოქცეული იყო 70-200 ლარის ფარგლებში, 24.8%-ის 200-450 ლარის, ხოლო 21.2%-ი საშუალოდ 70 ლარზე ნაკლებს ხარჯავდა.

დიაგრამა 19.

განაწილება აჭარაში საშუალო დღიური ხარჯების მიხევით

პოსტ-საბჭოთა ქვეყნები



აჭარაში არსებული ტურიზმის სახეობების მიმართ ყველაზე მეტად ტურისტები დაინტერესებულები იყვნენ საზღვაო ტურიზმით (33.4%), შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა ეკო ტურიზმი (8.6%) და ველური ბუნების ტურიზმი (8.6%), ასევე მნიშვნელოვანი ინტერესი დაფიქსირდა საკრუიზო ტურიზმის (8%), სათავგადასავლო ტურიზმის (7.6%), გასტრონომიული ტურიზმის (7.3%) და კულტურულ-რელიგიური ტურიზმის (6.7%) მიმართაც.

დიაგრამა 20.

განაწილება აჭარაში ტურიზმის სახეობების მიმართ ინტერესის მიხედვით

პოსტ-საბჭოთა ქვეყნები



განსხვავებით საქართველოს და თურქეთის მოქალაქეებისგან, ამ ასპექტში შეგროვებულ რესპოდენტთა პასუხების მიხედვით, კმაყოფილების ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო შიდა

ტრანსპორტირების (2.37), ჯანდაცვის ობიექტების (2.37) და ფასისა და ხარისხის შესაბამისობის (2.38) ფაქტორებმა.

დიაგრამა 21.

განაწილება ტურისტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორების მიმართ კმაყოფილების დონის მიხედვით

პოსტ-საბჭოთა ქვეყნები



განვითარებული ქვეყნები - უცხოელი ტურისტები

განვითარებული ქვეყნების ასპექტში სულ დაფიქსირდა 47 რესპოდენტის ინტერვიუ. მათ შორის წარმოდგენილი იყო 11 ქვეყანა: პოლონეთი (17), გერმანია (9), აშშ (4), დიდი ბრიტანეთი (4), ნორვეგია (3) და ა.შ.

დიაგრამა 22.

რესპოდენტთა განაწილება განვითარებული ქვეყნების მიხედვით

განვითარებული ქვეყნები (რაოდენობა რიცხვებში)



რესპოდენტთა 56.5% 20-დან 29 წლამდე ასაკის ჯგუფს მიეკუთვნებოდა. გამოკითხულთა 67.4% მამაკაცები იყვნენ. ისინი საშუალოდ 7 დღიან ვიზიტს ახორციელებდნენ აჭარაში, რომელთა უმეტესობა მოგზაურობდა პარტნიორთან (56.5%) ან მეგობრებთან ერთად (30.4%). ვიზიტორთა 23.7%-მა ისარგებლა ტურისტული სააგენტოს მომსახურებით. მათი უმეტესობა (93.5%) პირველად სტუმრობდა აჭარას. 88.9%-მა აღნიშნა, რომ გაუწევდა აჭარას რეკომენდაციას, ხოლო 41.3%-ი კვლავ ესტუმრებოდა რეგიონს მომავლ წელს.

რესპოდენტთა 23.8%-ისთვის მოგზაურობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ზღვაზე დასვენება, ასევე დაფიქსირდა თანაბარი 14.3%-იანი განაწილება

კულტურის გაცნობის, ბათუმის მონახულების და თავგადასავლის ძიების მიზნით.

დიაგრამა 23.

განაწილება მოგზაურობის მიზნის მიხედვით

განვითარებული ქვეყნები



რესპოდენტა უმეტესობა რეგიონში თვითმფრინავით (33.3%) ჩამოვიდა, 22.2%-მა ტრანსპორტირებისთვის საკუთარი მანქანა გამოიყენა, 16.7%-მა კი ავტიბუსი.

დიაგრამა 24.

განაწილება აჭარამდე ტრანსპორტირების მიხედვით

განვითარებული ქვეყნები



ტურისტების 60.9%-მა ინფორმაცია აჭარის რეგიონის შესახებ ინტერნეტიდან მიიღო, სადაც Facebook-ი ინაწილებდა 12.3%-ს, დეპარტამენტის ახალი ვებ გვერდი 3%-ს, TripAdvisor-ი 1.8%-ს და სხვა წყაროები 43.9%-ს.

დიაგრამა 25.

განაწილება აჭარის შესახებ ინფორმაციის წყაროს მიხედვით

განვითარებული ქვეყნები



კვლევის ანალიზის მიხედვით, აჭარაში ვიზიტისას მოგზაურთა 38.3% სასტუმროში განთავსდა, 19.1% - გესთჰაუსში, ხოლო 12.8% - ჰოსტელში, 10.6%-მა კი უპირატესობა მიანიჭა აპარტამენტს ქირით.

დიაგრამა 26.

განაწილება აჭარაში განთავსების საშუალების მიხედვით

განვითარებული ქვეყნები



საშუალო დღიური ხარჯების მიხედვით რესპოდენთა 29.5% ხარჯავდა 70 ლარზე ნაკლებს, 31.8% საშუალოდ 70-200 ლარამდე, 29.5% 200-დან 450 ლარამდე, ხოლო დანარჩენი 9.1% 450 ლარზე მეტს.

დიაგრამა 27.

განაწილება აჭარაშისაშუალო დღიური ხარჯების მიხევით

განვითარებული ქვეყნები



აჭარაში არსებული ტურიზმის სახეობების მიმართ ყველაზე მეტად რესპოდენტები დაინტერესებული იყვნენ საზღვაო ტურიზმით (25.2%), შემდგომ პრიორიტეტულ სახეობად ველური ბუნების ტურიზმი მიაჩნდათ (13.6%). რადგან, მოგზაურთა უმეტესობა პირველად იმყოფებოდნენ აჭარაში, ამიტომ მათთვის ინტერესის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადენდა რეგიონის კულტურულ-რელიგიური ტურიზმის (11.7%) და გასტრონომიული ტურიზმის (5.8) გაცნობა. გამოკითხულთა 10.7%, ასევე დაინტერესებული იყო სათავგადასავლო ტურიზმის სახეობით.

ამ ასპექტის რესპოდენტებისთვის მცირე რაოდენობისთვის ასევე საინტერესო იყო ბიზნეს ტურიზმი (1.9%), სათამაშო ტურიზმი (1.9%) და სპორტული ტურიზმი (1.9%).

 დიაგრამა 28.

განაწილება აჭარაში ტურიზმის სახეობების მიმართ ინტერესის მიხედვით

განვითარებული ქვეყნები



ტურისტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორების მიმართ კმაყოფილების დონე უცხოელი მოგზაურებისთვის შემდეგნაირად გამოიყურება. ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო სანახაობებმა (1.94), შემდეგ ფაქტორებს კი წარმოადგენდა ფასისა და ხარისხის შესაბამისობა (1.98), ჯანდაცვის ობიექტები (2.04), შიდა ტრანსპორტი (2.21) და ა.შ.

 დიაგრამა 29.

განაწილება ტურისტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორების მიმართ კმაყოფილების დონის მიხედვით

განვითარებული ქვეყნები



ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები - უცხოელი ტურისტები

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ასპექტში დაფიქსირდა 44 რესპოდენტი. მათ შორის წარმოდგენილი იყო 4 ქვეყანა: ერაყი (26), ირანი (11), ქუვეითი (4) და ისრაელი (3).

დიაგრამა 30.

რესპოდენტთა განაწილება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიხედვით

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები (რაოდენობა რიცხვებში)



რესპოდენტთა 45.2% 20-29 წლამდე, ხოლო 31% 30-39 წლამდე ასაკის ჯგუფს მიეკუთვნებოდა. გამოკითხულთა 74.4% მამაკაცები იყვნენ. ისინი საშუალოდ 5 დღიან ვიზიტს ახორციელებდნენ აჭარაში, რომელთა უმეტესობა მოგზაურობდა მეგობრებთან (53.7%) ან ოჯახის წევრებთან (39%) ერთად. ვიზიტორთა 31%-მა ისარგებლა ტურისტული სააგენტოს მომსახურებით. რესპოდენტთა 78.6% პირველად სტუმრობდა აჭარას. 95.2%-მა აღნიშნა, რომ გაუწევდა აჭარას რეკომენდაციას, ხოლო 67.5%-ი კვლავ ესტუმრებოდა რეგიონს მომავლ წელს.

რესპოდენტთა 30.6%-ისთვის მოგზაურობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ზღვაზე დასვენება, 22.2%-სთვის გართობა, 19.4%-სთვის ბათუმის მონახულება, ხოლო 11.1%-სთვის ახალი კულტურის გაცნობა.

 დიაგრამა 31.

განაწილება მოგზაურობის მიზნის მიხედვით

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები



რესპოდენტა უმეტესობა რეგიონში საკუთარი მანქანით (53.2%) ჩამოვიდა, 23.4%-მა თვითმფრინავით, ხოლო 17%-მა მატარებლით ისარგებლა.

დიაგრამა 32.

განაწილება აჭარამდე ტრანსპორტირების მიხედვით

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები



ტურისტების 70.2%-მა ინფორმაცია აჭარის რეგიონის შესახებ ინტერნეტიდან მიიღო, სადაც Facebook-ი ინაწილებდა 23.4%-ს,

დეპარტამენტის ახალი ვებ გვერდი 2.1%-ს, Twiter-ი 2.1%-ს და სხვა წყაროები 42.6%-ს.

ДИАГРАМА 33.

განაწილება აჭარის შესახებ ინფორმაციის წყაროს მიხედვით

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები



კვლევის ანალიზის მიხედვით, აჭარაში ვიზიტისას მოგზაურთა 67.4% სასტუმროში განთავსდა, 13% - აპარტამენტში ქირით, ხოლო 10.9% - გესთჰაუსში.

ДИАГРАМА 34.

განაწილება აჭარაში განთავსების საშუალების მიხედვით

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები



საშუალო დღიური ხარჯების მიხედვით რესპოდენთა 42.9% საშუალოდ ხარჯავდა 70-200 ლარს, ხოლო 33.3% 200-დან 450 ლარამდე დღეში.

ДИАГРАМА 35.

განაწილება აჭარაშისაშუალო დღიური ხარჯების მიხევით

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები



აჭარაში არსებული ტურიზმის სახეობების მიმართ ყველაზე მეტად რესპოდენტები დაინტერესებული იყვნენ საზღვაო ტურიზმით (42.5%), შემდგომ პრიორიტეტულ სახეობებს ეკო ტურიზმი (9.6%) და სამთო-სათხილამურო ტურიზმი (9.6%) წარმოადგენდა. ასევე, საინტერესო მაჩვენებელი დაფიქსირდა კულტურულ-რელიგიური ტურიზმის (8.2%) და საკრუიზო ტურიზმის (6.8%) მიმართაც. ეკო ტურიზმის ინტერესიდან გამომდინარე, ასევე ასაღნიშნია ველური ბუნების ტურიზმის (5.5%) და ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმის (4.1%) მაჩვენებლებიც.

ამ ასპექტის რესპოდენტთა მცირე რაოდენობისთვის იყო ასევე საინტერესო შემეცნებითი ტურიზმი (1.4%), ექსტრემალური ტურიზმი (1.4%), სათამაშო ტურიზმი (1.4%) და სოფლად ტურიზმი (1.4%).

დიაგრამა 36.

განაწილება აჭარაში ტურიზმის სახეობების მიმართ ინტერესის მიხედვით

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები



ტურისტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორების მიმართ კმაყოფილების დონე უცხოელი მოგზაურებისთვის შემდეგნაირად გამოიყურება. ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო სანახაობებმა (2.22), შემდეგ ფაქტორებს კი წარმოადგენდა მომსახურებას სასტუმროებში (2.26), ფასისა და ხარისხის მიამრთება (2.29), ჯანდაცვის ობიექტები (2.33) და ა.შ.

 დიაგრამა 37.

განაწილება ტურისტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორების მიმართ კმაყოფილების დონის მიხედვით

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები